ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კოლეგიის თავმჯდომარე: დათუნა მოდებაძე

კოლეგიის წევრი: კობა ბოჭორიშვილი

კოლეგიის წევრი: ზურაბ ძლიერიშვილი

საჩივრის ავტორი: ნ. თ.

საჩივრის შემოსვლის თარიღი: 08.02.2012

საჩივრის რეგისტრაციის: # 018/12

გადაწყვეტილების მიღების თარიღი: 07.03.2012

ადვოკატი, რომლის მიმართ საჩივარი შემოტანილია: ნ. გ.

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. გ. მიმართ ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2012 წლის 8 თებერვალს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას მომართა ნ. თ. და მოითხოვა ადვოკატ ნ. გ. მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, სისხლის სამართლის საქმეზე მის ინტერესებს პირველი ინსტანციის სასამართლოში იცავდა ადვოკატი ნ. გ.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა არ დაიცვა სათანადოდ მისი ინტერესები. კერძოდ, ადვოკატმა არ გაატარა საჩივრის ავტორის უფლებების დაცვისათვის ქმედითი ღონისძიებები, საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი არ აწვდიდა მას სათანადო ინფორმაციას, მოქმედებდა მასთან შეუთანხმებლად. მათ შორის ადვოკატს საჩივრის ავტორთან არ შეუთანხმებია დასკვნითი სიტყვა, რომელიც თავად წაიკითხა პროცესზე და რომელის შინაარსაც საჩივრის ავტორი არ ეთანხმებოდა.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ნ. გ. არ გაასაჩივრა სასამართლო სხდომის ოქმები, მათში არსებული უზუსტობების მიუხედავად. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატი ნ. გ. მოქმედებდა მისი ინტერესების საწინააღდეგოდ.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატის განმარტებით, იგი მსჯავრდებულ ნ. თ. დაცვას ახროციელებდა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში.

2.2 ადვოკატის განცხადებით, სასამართლო საქმეს განიხილავდა განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით, რომელიც შემდგომ გადაკვალიფიცირდა სხეულის განზრახ მსუბუქი დაზიანების მუხლით და ბრალდებულს სასჯელის სახით შეეფარდა ერთი წელი.

2.3 ადვოკატის მიერ წარმოდგენილი მასალების თანახმად, ადვოკატი ნ. გ. სამართლებრივი მომსახურების გაწევას ახორციელებდა მხარეთა შორის 2007 წლის 24 აპრილს დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ნ. გ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი. ადვოკატის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე, ის არ არის გარიცხული სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან“.

3.2 ნ. თ. ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2012 წლის 8 თებერვალს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელებულია 2007 წლის 24 აპრილიდან ივნისის ბოლომდე. ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის (17.11.2009 #2040 რედაქციით) 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადვოკატს არ დაეკისრება დისციპლინარული პასუხისმგებლობა, თუ დისციპლინარული გადაცდომის ჩადენის დღიდან გასულია 5 წელი, ხოლო საჩივარში მითითებული დარღვევის თარიღისათვის მოქმედი რედაქციით (2007 წელი) ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ,,ადვოკატთა

დისციპლინარული პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-3 მუხლით, ადვოკატს დისციპლინარული პასუხისმგებლობა არ ეკისრება თუ დისციპლინარული გადაცდომის ჩადენის ან აღმოჩენის დღიდან გასულია 3 (სამი) წელი.

4. სამართლებრივი შეფასება:

4.1 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის (17.11.2009 #2040 რედაქციით) 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადვოკატს არ დაეკისრება დისციპლინარული პასუხისმგებლობა, თუ დისციპლინარული გადაცდომის ჩადენის დღიდან გასულია 5 წელი, ხოლო საჩივარში მითითებული დარღვევის თარიღისათვის მოქმედი რედაქციით (2007 წელი) ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ,,ადვოკატთა დისციპლინარული პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-3 მუხლით, ადვოკატს დისციპლინარული პასუხისმგებლობა არ ეკისრება თუ დისციპლინარული გადაცდომის ჩადენის ან აღმოჩენის დღიდან გასულია 3 (სამი) წელი.

4.2 საქმეში არსებული მტკიცებულების - სამართლებრივი მომსახურების №2 ხელშეკრულებისა და ორდერის №2 საფუძველზე, ადვოკატი ბრალდებულს იცავდა 2007 წლის 24 აპრილიდან პირველი ინსტანციის სასამართლოში. საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტების მიხედვით, ადვოკატი ნ. გ. საჩივრის ავტორის წარმომადგენლობას ახორციელებდა 2007 წლის 24 აპრილიდან ივნისის ბოლომდე ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, ხოლო ქუთაისის საპელაციო სასამართლოში, რომლის პირველი სხდომა ჩატარდა 2007 წლის ივნისის ბოლოს, საჩივრის ავტორის ინტერესებს იცავდა უკვე ადვოკატი დ. ფ.

4.3 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ 2007 წელს მოქმედებდა ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის (2002 წლის რედაქცია) 32-ე მუხლის მე-2 ნაწილი და ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების (2006 წლის 15 აპრილის რედაქცია) მე-3 მუხლი, რომელიც ადგენს, რომ ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ ეკისრება თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ან აღმოჩენის დღიდან გასულია 3 (სამი) წელი.

4.4 მოცემულ შემთხვევაში კანონს არ შეიძლება ჰქონდეს უკუქცევითი ძალა, რადგან ის აუარესებს პირის (ადვოკატის) მდგომარეობას.

4.5 შესაბამისად, ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ წარმომადგენლობის გახორციელებიდან (2007 წელი) გასული ადვოკატის ხანდაზმულობის ვადა, 3 წელი, რაც იმას გულისხმობს, რომ ადვოკატს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა, რადგან სავარაუდო ქმედების ჩადენიდან გასულია ხანდაზმულობის 3 წლიანი ვადა.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ კანონის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 33-ე მუხლით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე და გადაწყვიტა:

1. ნ. თ. 2012 წლის 8 თებერვლის # 018/12 საჩივართან დაკავშირებით შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება საბოლოო და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: დათუნა მოდებაძე

კოლეგიის წევრი: კობა ბოჭორიშვილი

კოლეგიის წევრი: ზურაბ ძლიერიშვილი